საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ბერლინის გამოცემა

ფასი 40 ფენიგი

REDAKTION L. KERESSELIDZE
BERLIN-SCHOENEBERG
Wexstr. 62

N 4 ქრისტეშობის თვე 1930

რამიშვილის ასე ლაჩრულად მოკვლით დიდად აღელვებულმა ბერლინის "თეთრმა გიორგიმ" მთხოვა ჩემი აზრი გამომეთქვა.

საშინელია ეს ამბავი. დაიღვარა ქართველის სისხლი ქართველის ხელით. ვინც არ უნდა იყვეს მკვლელი და რა მოტივებსაც არ უნდა მიეყვანათ ამ მკვლელობამდის, ის მაინც ქართველია და ეს უფრო აღელვებს ყოველ ქართველის სულს.

თუ მკვლელი რუსთა აგენტია და ამ მკვლელობაში რუსთა ხელი ურევია - ცხადია: რუსს გადაწყვეტილი აქვს დაუნდობლად სდევნოს ქართველი ერი, გაჟლიტოს და ძირიანად ამოაგდოს იგი.

თუ ერთი წუთით მაინც მივიღეთ მკვლელის განმარტება, ვითომ მისი რწმენა იყვეს, რომ მან მოჰკლა საქართველოსათვის მავნე პირი - კიდევ უარესი: ქართველმა ქართველის სისხლი არ უნდა დაღვაროს რა აზრთა და რწმენათა განსხვავებაც არ არსებობდეს მათ შორის. სისხლი ქართველისა, დაღვრილი ქართველის ხელით, საქართველოს მტერთ გაახარებს და მას მხოლოდ ავნებს.

თუ ამ ლაჩრული მკვლელობის მიზეზი მხოლოდ პირადი შურისძიება იყო - ესეც დიდათ სავალალოა. საქართველოს მომავალი განსაცდელშია. ყოველი პირადი მას უნდა შეეწიროს.

ეხლა მაინც ჩაუფიქრდეთ და მივხვდეთ, რომ აზრთა სხვადასხვაობამ არ უნდა მიგვიყვანოს გაბოროტებამდის. ჭორი, პიროვნების წინააღმდეგ შხამით აღსავსე გალაშქრება, მუშტი და კრივი საშინელი იარაღია, დამრღვევი ყოველი საზოგადოების მთლიანობისა.

ქართველთა გაერთიანებულ საზოგადოებაში ვერავინ გაჰბედავს მკვლელობას ვერც პოლიტიკურ და ვერც პირად ნიადაგზე.

ქართველი ერი, საქართველოს მომავალი მოგვიწოდებს: არა გაბოროტება, არა ჯქუფურ ან სხვა ნიადაგზე სიძულვილი, არამედ ძმური სიყვარული და მშვიდობიანობა ქართველთა შორის.

ქართველი ერის წყევლა და კრულვა ყოველ იმ ქართველს, ვინც ქართველის სისხლს ასე ვერაგულად დაღვრის.

გიორგი კერესელიძე.

ჯანრი კაშია

## "თეთრი გიორგის" კონგრესი.

ამა წლის ქრისტიშობის 21-ს პარიზში შეიკრიფება "თეთრი გიორგის" კონგრესი.

კონგრესი განიხილავს წარსულის ანგარიშს და შეიმუშავებს მომავალ საქმიანობის გეგმას.

ყოველი მოვლენა უნდა განვიხილოთ და დავაფასოთ იმის მიხედვით თუ რითი არგო ან ავნო მან საქართველოს.

გადავავლოთ მოკლედ თვალი "თეთრი გიორგის" მოღვაწეობას.

საქართველო დამარცხდა. დამარცხდნენ, მაშასადამე, ძველი პოლიტიკური პარტიებიც. განსაზღვრულ პირობებში წარმოშობილნი ვერ გაერკვივნენ ისტორიის მსვლელობის მიერ შექმნილ ახალ პირობებში.

ყველგან ასე ჰხდება. მაგალითისათვის საკმარისია გერმანია. სამაგალითოდ ხელმძღვანელობდენ ძველი პოლიტიკური პარტიები ძველ გერმანიის მართლა ჩინებულად მოწყობილ იმპერიას. ისტორიამ დაამსხვრია ძველი პირობები და წარმოშვა ახალი. დღეს, გერმანიის ძველმა პოლიტიკურმა პარტიებმა არა თუ ალღო ველარ აუღეს ახალ ცხოვრებას, არამედ საკუთარ პარტიათა ფსიქოლოგიის მემკვიდრეობა ისეთის ძალით აწევთ, რომ მათი მოქმედება უფრო დამრღვევია და მავნე სახელმწიფოსათვის ვიდრე ხელსაყრელი.

საქართველომ მონობაში ერთ საუკუნეზე მეტი გაატარა. მას სულ სხვა პირობებში უხდებოდა ბრძოლა. სულ სხვა გზებს და სხვა ფსიქოლოგიას ჰბადავდა წარსული.

ძველ პირობებში წარმოიშვნენ ჩვენი ძველი პოლიტ. პარტიები. მათი პროგრამა და ბრძოლის საშუალებანი იქმნებოდნენ მიხედვით პირობებისა, რაც ბუნებრივია და აუცილებელი.

მეთი ბრძოლა, და ხშირად მეტად ძნელი მათ აწარმოვეს ამ პროგრამისათვის და ამ საშუალებებით. ამ ბრძოლას უეჭველად უნდა შეესისხლხორცებინა მათთვის ძველ პირობებში წარმოშობილი პროგრამა და საშუალებანი. ერთი სიტყვით, მათი ფსიქოლოგია მკვიდრი შვილია წარსულში არსებულ პირობებისა და მისგან განთავისუფლება მათთვის, თუ არა შეუძლებელი, მეტად ძნელია.

დღეს საქართველოში, სამი წლის დამოუკიდებლობის და განსაკუთრებით მისი დამხობის შემდეგ, სულ სხვა პირობები შეიქმნენ. სულ სხვა სულის კვეთების თაობა იზრდება.

ძველ პოლიტიკურ პარტიათა შეგნებაში საქართველოს თავისუფლება არ იყო საკმარისი მიზანი ბრძოლისათვის. ის სხვა, უფრო "დიდ იდეალს" უნდა მიჰკედლებოდა და მის ჩრდილში ევლო. ეს იყო ან ინტერნაციური, ან წმინდა რუსული სოციალიზმის, ან რომელიმე სხვა არა ნეკლებ მახინჯ სახის "დიდი იდეალი".

ახალ თაობისათვის კი უდიდესი და ერთად ერთი მიზანია თვით საქართველო, მისი ბედი და მომავალი.

"თეთრი გიორგის" ასპარეზზედ გამოსვლამდისაც ქართველი ახალგაზრდობა მთელი თავისი არსით დიდი პატრიოტი იყო. ხოლო არ იცოდა ვის მიჰკედლებოდა და როგორ გამოენახა საქართველოსათვის ჭეშმარიტ სამსახურის გზა. ძველი პოლიტიკური პარტიები იდეალები და ლოზუნგები ახალგაზრდობის სულს არას ეუბნებოდა, გულს ვერ უთბობდა.

"თეთრმა გიორგიმ" აჩვენა მას სწორე გზა, მისცა მის სულს და აზრს დიდი სზრდო, დარაზმა და ასწავლა თუ როგორ უნდა შესწირონ სამშობლოს ენერგია, სული, აზრი და სხეული.

დღეს პატრიოტი ახალგაზრდა აღარ ჰგრძნობს თავს გარიყულად. მან უკვე იცის როგორ უნდა იბრძოლოს თავის იდეალების განსახორციელებლად.

"თეთრი გიორგი" წარმოშობილია ახალ პირობებში, ახალის სულით. მას ესმის მთელი სიღრმე დიდებული წარსულისა, მის მიერ შექმნილი ტრადიციები. მდიდარმა ამ განძით ადვილად აუღო ალღო ახალ პირობებს, ჩასწვდა ქართველი ხალხის სულს, სცნო მისი მისწრაფებანი, ჩამოაყალიბა და აჩვენა მებრძოლ ქართველს სწორე გზა.

აი "თეთრი გიორგის" დაუვიწყარი ღვაწლი.

შეიძლება "თეთრი გიორგის" არა ერთ შეცდომაზედ მიგვითითონ. ხოლო ყველა ეს წვრილმანია შედარებით იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც მას მიუძღვის.

წვრილ შეცდომათა გასწორება ადვილია. კონგრესი განიხილავს და შეასწორებს. ყოველ შემთხვევაში, მომავალში აღარ გაიმეორებს.

"საქართველო უწინარე ყოვლისა"— აი ძახილი ყოველი ქართველის გულისა. როდესაც ერის სულში და გულში ღრმად

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის ჩანერგილი ეს იდეალი- მის დამარცხებას ვერავინ შესძლებს.

ბერლინის "თეთრი გიორგი" აღტაცებით მიესალმება კონგრესს და უსურვებს საქმიანობის კეთილად დამთავრებას.

---------

ლეო კერესელიძე
უნცროსი.

---

## მწარე მოგონებანი.

/ქაქუცას ხსოვნას./

" დედა-შვილობამ, ბევრს არ
გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეთ."
აკაკი.

მძიმეა ბედი ქართველისა. მხოლოდ ქართველი ერის სულის უსაზღვრო ძლიერებას შეეძლო შეენარჩუნებია ეგრე ამაყად თავისი ეროვნული სახე. წამებული ერი! ხაჭამ სული შერჩენია, არავის დაემონება. რამდენ ტანჯვას უნდა გაუძლოს ქართველმა?

უფალო, რა შეგცოდა ეგრეთი ერმა ქართლისამ, რომ არ აკმარი ამდენი ტანჯვა? არ ატარა მან ამაყად, საუკუნეთა განმავლობაში, წმ. ნინოს მიერ ნაბოძები ჯვარი ვაზისა? და განა არ გაიღო მსხვერპლი უამრავი მისი ერთგულებისა?

ღვთის მშობელო, რად დაივიწყე ხვედრი შენი- მიწა ივერთა?

ეჰ! არავის ესმის ძახილი ქართველის, არც ღმერთს და არც ადამიანს.

მძიმეა ბედი ქართველის.

ვუმზერ ქაქუცას სურათს. როგორ შეურიგდეს ქართველი იმ აზრს, რომ ეს ვაჟკაცი თვალები აღარ ბრწყინავენ, რომ მისი რაინდი გული აღარ სცემს და რომ საყვარელი და ლამაზი ქაქუცა დღეს უკვე მიწად არის ქცეული?

ცრემლნი გაშრნენ და გული გაქვავდა. მწარე მოგონებანი სულს მიხშობენ. ვის გაუზიარო ეს ჩემი ბოლმა და სევდა გულისა თუ არა იმედს ჩვენი ქვეყნისას - ქართველ ახალგაზრდობას?

------

ჩემი მოგონებანი მხოლოდ პატარა ნაწყვეტია იმ ამბებისა, რომელთა მოწამე მე ვიყავ; პატარა სურათი იმ თავდადებულ ერთგულებისა სამშობლოსადმი, რომელსაც ასე უხვად და გმირულად ეწირებოდნენ შვილნი ქართლისა.

ამ გმირთა შორის ქაქუცა ბრწყინავს ზეციურ სხივსავით. მან დამარცხებულ ერს ბრძოლის დროშა აუფრიალა და დაანახვა გზა გამარჯვებისა. ქართლის ცხოვრებაში ის უკვდავია. რჩეულთა შორის პირველია.

ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. გაჭირვების დროს ერი წარმოშობს ისეთს გმირს, რომლის ბუნება შეზავებულია ერის ყველა უკეთეს თვისებებით. ქაქუცა იყო სრული განხორციელება ქართველთა იდეალისა: ჭკვიანი, შეუპოვარი ვაჟკაცი, დარბაისელი, კეთილი და ამაყი. ხალხის შვილი იყო და ხალხის გულის კვნესა მისამებრ სხვას არ გაეგებოდა. თუმცა ქართველთა შორის ბევრი იყო გმირულ სულის პატრონი, მაგრამ ქაქუცობა მხოლოდ ქაქუცამ შესძლო.

ქართულ ცხენოსან ლეგიონში სულ რჩეულმა ოფიცრობამ მოიყარა თავი. მათ შორის ბევრი იმ გვარებს ეკუთვნოდა, რომელნიც მუდამ ამშვენებდნენ საქართველოს ისტორიას. ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟკაცი. მათ შორის ძმობა, ურთიერთისადმი დიდი პატივის ცემა და სიყვარული სუფევდა. შური უცნობი რამ იყო. უმეტესნი სამშობლოს შეეწირნენ. ვინ ცოცხალი გადარჩა ან ციმბირშია გადასახლებული და ან უცხოეთში დევნილი. ვლ. ბერიძე ციმბირში გარდაიცვალა. ვინ იცის, სხვები კი ცოცხალნი არიან?

კლასთა ბრძოლის იდეოლოგებმა ეს თავგანწირული მებრძოლნი ქართველი ხალხის კლასიურ მტრად გამოაცხადეს. უხაროდეთ: მტერმა ამოსწყვიტა.

ქაქუცა პირველი ესკადრონის უფროსი იყო. დიდი დანაშაული უნდა ჩაედინა ჯარის კაცს, რომ ქაქუცა მას გასწყრომოდა. ხოლო, ვაი მას ვინც მის გულისწყრომას გამოწვევდა. რამდენადაც უსაზღვრო იყო მისი გულკეთილობა- იმდენად სასტიკი იყო მისი განრისხება. არასოდეს ქაქუცა ჯარის კაცს ხელით არ შეეხებოდა, რაც უნდა დიდი დანაშაული ჩაედინა მას. მხოლოდ, თუ ვინმეს ბრძოლის დროს შეშინებულს დაინახავდა, მაგრად გადუჭერდა მათრახს.

F 11802

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მაინც გალახა რამდენიმე ჯარის კაცი. რევოლუციის ხანა იყო. ჯარის კაცებმა მიცინგზე რაღაც დადგენილებები გამოიტანეს და ამ მოთხოვნილებებით ამორჩეულნი ქაქუცას წარუდგნენ. პასუხად ქაქუცამ რომელსაც კი შემოჰკრა, ფეხზე ვეღარ დადგა.

ლეგიონის საუკეთესო მომლხენი ქაქუცა იყო. მისი ლეკური და ხიმლერა შეუდარებელი პოეზია იყო. როდესაც მასთან ერთად შცაბ-როცმისცრი ყარანგოზაშვილი ცეკვავდა- გული ცახცახს დაგვიწყებდათ. ყარანგოზაშვილი, მშვენიერი, საუცხოვო ცანადობის ახალგაზრდა ვაჟკაცი მოჰკლეს ერთ ბრძოლის დროს მხეც რუსთა წინააღმდეგ.

ჯარის კაცებს ქაქუცა განსაკუთრებით უყვარდათ და იმავე დროს დიდი მოკრძალება და ცოცა შიშიც ჰქონდათ მისი. როდესაც ჯარის კაცს რამე დასჭირდებოდა, ხულ უბრალოდ მივიდოდა მასთან და ისე ესაუბრებოდა მას, როგორც უმცროს ძმას. ქაქუცა ისეთი თავმდაბალი იყო, რომ ბუნებრივად იპყრობდა ყოველი ადამიანის ნდობას. თავის ჯარის კაცებს თავს ევლებოდა.. მისალმებაც ნამდვილი ქართული ჰქონდა: "გამარჯვება, ბიჭებო," შეხძახებდა ჯარის კაცებს.

მართლადაც კარგი ბიჭია ქართველი ჯარის კაცი თუ მას მაგრა დაიჭერ ხელში. სამაგალითო ჯარის კაცია. ბუნებით ვაჟკაცია ქართველი, ხოლო ძნელად ემორჩილება დისციპლინას. ეს ქართველთა ინდივიდუალურ თვისებების დიდ განვითარებით აიხსნება. ქართველის ბუნება ბრმა მორჩილებას ეწინააღმდეგება. ხოლო, თუ მას დისციპლინის აზრი შეაგნებინე ის მას ადვილად ითვისებს და შეგნებულად ემორჩილება. ხახალხო გვარდიის უბედურობა ის იყო, რომ მის ხელმძღვანელთ ხამხედრო ხაქმისა არა გაეგებოდათ რა და ის მშვენიერი ბრძოლის მასალა - ქართველი ჯარის კაცი - რომელიც ხელთ ჰქონდათ, ვერ გამოიყენეს. უდისციპლინოდ ჯარი ვერ იბრძვის, რაც გინდ ვაჟკაცი იყვეს იგი. იქნებ ჩვენი ბედი ხხვანაირად დაცრიალებულიყო გვარდიის ხელმძღვანელთ ეს რო შეეგნოთ.

პოლკ. მაჭავარიანი ასე ახასიათებდა ქართველ ჯარის კაცს: "როდესაც რუსის ჯარში ვმსახურობდი ბრძოლის დროს ხულ უკან ვიხედებოდი: ყველა ჯარის კაცი გაიქცა თუ კიდევ ვინმეა ჩემს უკან მეთქი. ქართველ ჯარში ეს არ მიხდებოდა. დარწმუნებული ვიყავ რომ ქართველი ბრძოლის ველიდან არ გამექცევა და მარცოს არ დამცოვებს. მაგრამ გუშაგობის დროს თუ თვალი მოაშორე ან თუთუნს მოხწევს, ან ფეხთ გაიხდის და წამოწვება. ქართველ ჯარის კაცს ბრძოლისათვის იმდენი წრთვნა არ უნდა, რამდენიც შინაგან სამსახურის ხწავლა და დისციპლინის საჭიროების შეგნება."

დიდად გამოცდილი და ჭკვიანი მხედარი იყო პოლკ. მაჭავარიანი. დიდი სახელი ჰქონდა მის ლეგიონს. რათგან ეს ლეგიონი კახეთში ბინადრობდა ჩვენ მას კახეთის ლეგიონს ვეძახდით. მკაცრი უმფროსი იყო და ლეგიონი მის წინაშე ცახცახებდა. თვითონ სამსახურისათვის თავგადადებული იყო და მასთან ფრიად ვაჟკაცი. ქართული უძნელდებოდა და ხშირად იცყოდა:"ვინც მე რუსეთში აღმზარდა....." და საშინლად, რუსულ ყაიდაზე შეიგინებოდა.

ერთხელ გზაზე კახელების ლეგიონს შევხვდი. სვლა ერთად განავგრძეთ. ცოცა ხნის შემდეგ ვხედავთ- გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი მოდის. ურთი ერთს რომ გაუსწორდით ლეგიონერებს და გვარდიელებს ერთმანეთისათვის სალამი უნდა მიეცათ. გაისმა ბრძანება:"სმენა." პასუხად ლეგიონერებმა ერთხმად შეხძახეს:"ქაქუცას გაუმარჯოს, ქაქუცასა." ქაქუცა ამ დროს გვარდიაში მსახურობდა. მომიბრუნდა მაჭავარიანი და მითხრა: "რა უნდა უყო ამ ხალხს? მე ბრძანებას ვაძლევ:"სმენა" და ამათ დაინახეს თუ არა ქაქუცა- აყვირდნენ. დიდი მუშაობა არის საჭირო ნამდვილ დისციპლინის შესაქმნელად." ამას ამბობდა და თან გულიანად იცინოდა.

ეს ის მაჭავარიანი არის, რომელიც კოცე აფხაზთან და სხვა გმირებთან ერთად დახვრიცეს და რომლებმაც სამშობლოსათვის პირველ წამებულთა გვირგვინი დაიდგეს. ამ წამებულთა შორის იყო აგრეთვე ჩვენი ლეგიონის ოფიცერი სიმ. ბაგრაციონ-მუხრანთ ბაცონი.

ჩვენი ლეგიონის ელფერის მიმცემი იყო მისი დამაარსებელი და უმფროსი შცაბ-ოფიცერი დავ. შალიკაშვილი,-ადამიანი, მთელი თავის ბუნებით არისცოკრაცი. მისი ღრმა რწმენით თავადაზნაურობა მოვალეა თავი სამშობლოს შეხწიროს და ბრძოლაში ხალხს თავგანწირულობის მაგალითი აძლიოს. ამაყია და [illegible], ჯევარშენ შალიკაშვილის ჩამომავალი. მცკიცე ნებისყოფისაა და მისთვის, გარემე სამშობლოისა არ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხეზობს არც მიზანი, არც იდეალი. სამსახურის დროს დიდად სასტიკი იყო. არც ოფიცრის და არც ჯარის კაცის პატიება არ იცოდა: დანაშაული თუ შეცდომა უნდა დასჯილიყო. ისეთ მწარე შენიშვნას მოგცემდა, რომ არაფრის არ დაგავიწყდებოდა.

ერთხელ ლეგიონში სამხედრო მინისტრი გიორგაძე მოვიდა. საუზმეზე მივიწვიეთ და ქართულ სუფრას, რა თქმა უნდა, ცეკვაც მოჰყვა. ქაქუცამ ყარანგოზაშვილთან ერთად ლეკური დაუარა. ცეკვა რ· დაამთავრეს შალიკაშვილი მივიდა მათთან და მიჰმართა: "ბატონო ოფიცრებო, დიდად ვწუხარ რო თქვენ პირადი ღირსების დაცვა არ შეგძლებიათ და ბალერინებივით ცეკვავთ მათ წინაშე, ვინც ყოველი ღირსება აგვყარეს და ჩვენი არავითარი ნდობა არა აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თავად-აზნაურები ვართ." ქაქუცაც და ყარანგოზაშვილიც გაფითრებული და უსიტყვოდ გაჭიმული უსმენდნენ შენიშვნას. შალიკაშვილი არც გამოსთხოვებია ისე წავიდა. საცოდავი ქაქუცა გამობრუნდა და ჩაილაპარაკა: ქართული სუფრა იყო და მეც ქართულად დავუარე. თურმე მიმიქარავს. მართალია დავითი, რას იზამ?"

ლეგიონში მსახურობდა აგრეთვე პოლკ. ჩახავა, გასაოცარი ვაჟკაცი და ბრძოლის დროს მთლად თავზე ხელაღებული ადამიანი. უთვალავი ჭრილობები ჰქონდა. ჩახავა მეგრელი იყო და როდესაც გაბრაზდებოდა ხოლმე მეგრულად დაიწყებდა ლაპარაკს. მაშინ ქაქუცა მიაძახებდა: "ა, ძმაო, მაგისთანები არ იყოს. იაგორას ქართული კიდევ მესმის და შენი ვერა გამიგია რა. ქრისტიანულად ილაპარაკე." ჩახავა გაცეცხლდებოდა და შეჰყვირებდა "რავა, კაცო, მე ქრისტიანი არა ვარ თუ?" "აბა ერთი მითხარ, რომელ ქრისტიანს ჰქვიან ძუკუ?" ეტყოდა ქაქუცა. ჩახავას შინაური სახელი ძუკუ იყო. როდესაც ჩახავა ღვინით შეზარხოშდებოდა დაიწყებდა სიმღერას: "სენაკელი მეგრელი ზუგდიდელსა სჯობია.." "აი, ისე რა გითხრა!" მიაძახებდა ქაქუცა. ყველასთან ძმური განწყობილება ჰქონდა ქაქუცას.

გეგეჭკორის ბანდა ღუშეთში რომ შემოიჭრა ჩახავა თავისი ესკადრონით მის წინააღმდეგ მოქმედებდა. მან უეცრივ ყაზბეგი დაიკავა და გაქცეულ ბოლშევიკების შტაბი ხელთ იგდო. ტელეფონი დაურეკეს. ჩახავამ ყური დაუგდო. უთხრეს: გამაგრდი, მალე ახალ ჯარს მოგაწვდითო. ჩახავას შეკითხვაზე თუ ვინ ელაპარაკება, პასუხი მისცეს: გეგეჭკორი.- ბოლშევიკებს ჯერ კიდევ არ სცოდნოდათ რომ ჩახავამ მათი ბანდა დაამარცხა და კუდით ქვა ასროლინა. გეგეჭკორის ჩახავა კარგად იცნობდა, ერთი სოფლიდან იყვნენ. უპასუხა: "აქ ძუკუ ვარ, ჩახავა. თუ ვაჟკაცი ხარ მანდ დამხვდი, მე არამზადა და ლაწირაკო". საქართველოს მტრის მიერ დაპყრობის შემდეგ ჩახავამ გეგეჭკორს შეუთვალა: "ვაჟკაცურად გავსწორდეთ, ჩეკისტებს ღალატურად ნუ მოაკვლევინებ ჩემს თავს".. შეხვდა. სად ქართული ვაჟკაცობა და სად ბოლშევიკი. ჩეკისტებმა ლაჩრულად დახვრიტეს ეს ერთი უკეთეს ვაჟკაცთაგანი.

სადახლოს ბრძოლისათვის სამხედრო ჯილდოზე წარმადგინეს. დავ. შალიკაშვილი ამისი წინააღმდეგი იყო და აი რატომ. საგუშაგოზე გამგზავნეს ჯარის კაცებით. ჩვენი პოზიცია მეტად უხერხული იყო. მტრის პოზიცია ზევიდგან დაგვყურებდა და თავი ვერ წამოგვეყო. ცეცხლიც ვერ დაგვენთო: კომლის მიმართულებით საშინელ სროლას აგვიტეხდნენ ხოლმე. ვიწექით თოვლზედ, რომელიც დნებოდა და გაყინულ წყალში გვისველებოდა წოლა. რამდენიმე ჯარის კაცს ხელ-ფეხი გაეყინა და ლეგიონში გავგზავნე. ჩვენთვის სანოვაგე ახლო მდგომარე სანაპირო გუნდს უნდა მოეწოდებინა, მაგრამ ის ჩვენზე არ ფიქრობდა. ჯარის კაცთა მდგომარეობა მაწუხებდა. მე თბილ ტანსაცმელზე ზეწვიც მეცვა და მიუხედავათ ამისა მთლად სველი ვიყავ. ჯარის კაცებს კი ფეხთ დაგლეჯილი ფეხსაცმელი და ცა..თ მსუმბუქ ტანსაცმელზე მხოლოდ მუხლებამდის თხელი ნაბდის ფარაჯა ეცვათ. ყველა ამის შესახებ მოხსენება გავგზავნე, სადაც ავწერე რა მდგომარეობა, ვამბობდი: "მიკვირს რო ახე უყურადღებოთ ვართ მიტოვებული." აი ეს სიტყვები ვერ ეპატიებინა ჩემთვის დავითს. რა თქმა უნდა მართალი იყო. ამის მიწერა არ უნდა გამებედა. მთავარ სარდალმა დამაჯილდოვა და როდესაც შალიკაშვილს წარვუდექი, ძალიან ცივად მომიღოცა. გული დამწყდა და ვწუხდი, რომ ახეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ დამემართა. დავითმა რომ მომილო-
ცა თან დაუმატა:"იმედი მაქვს, მომ-
ავალში აღარ გაბედავთ უმფროსს ამი-
სთანა რამ მისწეროთ. თქვენი საქმეა
ბრძანების ასრულება და მეტი არაფე-
რი." იმ საღამოს ქაქუცამ ქართულ
კლუბში დამინახა და ჩემსკენ გამო-
ეშურა. ორივე ხელი თავზე მომხვია,
თვალებში მაკოცა და გულზე მიმიკრა.
ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიამა-
ყეს იგრძნობდა ახალგაზრდა მხედარი
ასეთი ტკბილი მოპყრობით და ისიც ი-
სეთი უმფროსისგან, როგორიც ქაქუცა
იყო. შევჩივლე მას, რომ დავითი ა-
სე გამიწყრა. გაიცინა და მითხრა:
"დავითმა თვითონ მიამბო შენი ამბა-
ვი და დიდათ გაქებდა. ეჰ, ძმაო, რ-
აც მე დავითისაგან მომხვედრია!"
დავითი მალე ჩვენი ლეგიონიდან წავი-
და. რუსების შემოსევის შემდეგ ერთ-
მანეთს მესტიის ციხეში შევხვდით და
მხოლოდ იქ განმიტევა ცოდვა ჩემი.
  ცხინვალის ოსების აჯანყების წი-
ნააღმდეგ გაგზავნეს ქაუცასი და ჩა-
ხავას ესკადრონები. ჩახავა მძიმედ
დაიჭრა. ქაუცამ დაჭრილი გორში ჩამ-
ოიყვანა და თბილისში ჰგზავნიდა.
გორში ქაქუცას საშინელი ამბავი და-
ჰხვდა. ესკადრონის ქონების დასაცვე-
ლად ამ ქალაქის სადგურზედ დაეტოვე-
ბინათ ქაქუცას ჯარის კაცი, მოხალი-
სე ფავლენიშვილი. ეს ფავლენიშვილი
ოდესმე ყოფილიყო დაცვის რაზმში მათ
წინააღმდეგ, ვინც თავად-აზნაურობას
სპობდენ და ოჯახს უოხრებდენ. მისი
უწინდელი მოწინააღმდეგენი დღეს "დი-
დი" კაცები გამხდარიყვენ. გაუგიათ
რა რომ ფავლენიშვილი გორში იყო, მი-
უყვანიათ გვარდიელების მთელი გუნდი,
გამოუყვანიათ ფავლენიშვილი ვაგონი-
დგან და იქვე დაუხვრეტიათ. ამ ამბ-
ის გაგებისთანავე ქაქუცა თბილისს
წავიდა და სამსახურიდან გადადგომას
აპირებდა. ამხანაგების თხოვნით თა-
ვის სურვილზედ უარი სთქვა. სულ იმ-
ას კი ამბობდა: "არ მეგონა თუ ქარ-
თველები ასეთ სიმხეცეს ჩაიდენდენ."
  26 მაისი იყო. ქართველი ხალი დი-
დი აღფრთოვანებით დღესასწაულობდა.
სატახტო ქალაქი პატარძალივით მორთ-
ულიყო. ჩვენი ესკადრონი სამხედრო
ტაძრის ეზოში იდგა. ჩვენს გვერდით-
გვარდიის ასეული-ქაქუცას უმფროსობ-
ით. წირვა არ გათავებულიყო. ალუმ-
ის დაწყებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო
გვქონდა. ოფიცრები ეზოდან ქუჩაში
გავედით. ცოტა გავიარეთ. მომიბრუნდა
ქაქუცა და მეუბნება: "ძმაო, გურულე-
ბზე რომ რამე გითხრა, ხომ არ გეწყ-
ინება. აბა ერთი გაიხედე და აი იმ-
ას შეხედე..." და ერთ ცხენოსანზე მი-
მითითა. გავიხედე და გულს შემომეყა-
რა. ვიღაც ცხენზედ კი არ იჯდა- თით-
ქო იდჯა. ცხენიც მას ისე საცოდავათ
დააჩანჩალებდა, რომ შეუძლებელი იყო
სიცილი არ წასკდომოდა. ამ საბრალოს
პაიჭებიც კი არ ჩაეცვა- შარვალი მუ-
ხლებამდის ასწეოდა და პერანგის ამხა-
ნაგი უჩანდა. რაღაც საწყალი, სავალა-
ლო სურათი. ეს ბრძანდებოდა "ცნობილი
დიპლომატი" გრიშა ურატაძე, რომელიც
წესრიგს გაზაგებდა.
  "ჩვენებური კაცი ცხენზე ესე არ
შეჯდება." მითხრა ქაქუცამ.
  "არც მეგრელი". დაუმატა ჩახავამ.
ყველამ სიცილი დამაყარა. გავჩუმდი.
ან რა მქონდა სათქმელი? ურატაძეებმა
საწყალ გურიას განა მარტო ცხენოსნო-
ბაში გაუტეხეს სახელი?
  დენიკინის ჯარი საქართველოს საზ-
ღვრებში შემოიჭრა, გაგრა აიღო და მდ-
ინარე ბზიბზედ გამაგრდა. მის წინააღ-
მდეგ, სხვა ნაწილებთა შორის, გვარდ-
იის ცხენოსანი დივიზიონიც მოქმედებ-
და. დენიკინს პოზიციები მძლავრად ჰ-
ქონდა გამაგრებული. ქაქუცას აძლევენ
ბრძანებას გადავიდეს ბზიბზე იქ, სა-
დაც ეს მდინარე ზღვას ერთვის და დე-
ნიკინს ზურგში მოექცეს. დაღამებისას
ქაქუცამ ესკადრონი მდინარეში შეიყვა-
ნა. მეტად სახიფათო ოპერაცია იყო,
რადგან აქ უკვე ზღვის ტალღები აღწე-
ვდნენ. ძლიერმა ნების ყოფამ განსაც-
დელს სძლია, ქაქუცამ ესკადრონი უვნ-
ებლად მეორე ნაპირს გაიყვანა და მტ-
ერს ზურგიდან დასცხო. რუსები საშინ-
ელმა პანიკამ შეიპყრო და, თავზარდა-
ცემულნი, ისე გაიქცნენ, რომ სოჩამდი
ველარ შეჩერდნენ. დაიდო რუსებსა და
ჩვენს შორის ნეიტრალური ზონა. რუსე-
ბი ჩვეულებრისამებრ პირობას არ ას-
რულებდენ, ამ ზონას არღვევდენ და
თავს გვესხმოდნენ. საჭირო იყო იქ
ჯარი მუდამ გვყოლოდა. ჩვენს ლეგიონს
ბრძანება მოუვიდა ორი ესკადრონი გა-
გზავნოს და გაგრაში გვარდიის დივიზი-
ონი შესცვალოს. დანიშნეს ჩვენი და
ჩახავას ესკადრონები. ტრანსპორტი მო-
უწყობელი იყო და ფოთში დიდ ხანს მო-
გვიხდა ცდა. აგრეთვე სუხუმში, სადაც
პროვიანტი მზად არ იყო. ბოლოს გზას
მაინც შეუდექით. გუდაუთში ერთმა გვ-

ვარდიელმა ესკადრონის უმფროსს ქაქუცას წერილი გადასცა. "ძმაო,ს., სწერდა ქაქუცა,- ჩვენში ქალი გაუთხოვებიათ და ქორწილი რამდენიმე დღე გაგრძელებულა. პატარძალი ამდგარა და უთქვამს:- თუ რამე სიკეთეს მიპირებთ მალირსეთ და ნულარ მაწამებთ. -ამისა არ იყოს, თუ მოდიხართ- მოდით და გაათავეთ." ჩვენი ესკადრონის უნფროსი გურული იყო. ერთი გულიანად გადიხარხარა და სთქვა: "რაია? ეს რა მყრალი წერილია?" გაგრძში რო მივედით, ქაქუცას უთხრა: "რაიზა მეიწერე ასე?" ქაქუცამ უპასუხა: "პროკლამაციების წერა გურულების საქმეა და ჩვენ, კახელებმა კი ეგრე ვიცით მარტივად."

ლევიზიონმა სადილი გაგვიმართა. დიდი ჭერმეტყველობით ილაპარაკა ახალგაზრდა ლეიტ. ზაუკ წერეთელმა. შემდეგ მანვე შემოსძახა: "ჩონგურს სიმები გაუბი..."- "მოვმართე ნელა ნელაო"- მისცა მეორე ხმა გვარდიის ოფიცერმა ციციშვილმა და მათ ჩვენს აღფრთოვანებით აჰყვა.

მეტად მწარე მოგონებაა. იქ დამსწრეთა შორის რამდენიმე თუა კიდევ ცოცხალი, სხვების საფლავებიც კი დაკარგულია. აჯანყების დროს, ვაგონში ტყვიის ფრქვევლებით დახვრეტილ გმირთა შორის ლეიტ. წერეთელი და მისი ძმა პეტრეც იყვნენ. სხვებთან ერთად სიკვდილს "დიდების" სიმღერით შეხვდნენ.

ლევიზიონმა აფხაზეთი და სამეგრელო გაიარა. ყველგან, ყოველ ოჯახში დიდი პატივისცემით იყვნენ მხედრები მიღებული. ქაქუცა ალფაბეთით იგონებდა სამეგრელოს და აფხაზეთსა და თან დაუმატებდა: "მაგრამ, ი დალოცვილებმა იმდენი წიწაკა იციან საჭმელში, რომ თან "პაჟარნი კამანდა" უნდა გახლდეს. მერე, როგორ ჰყლაპავენ აი ღომსა? ეს კი ვერ ვისწავლე."

ქაქუცას მეგრული სახელები აკვირვებდა და იტყოდა ხოლმე: "საიდან მოიგონეს ი დალოცვილებმა: ძუკუ,მიკო, ხოხო..." მეგრულ სახელების შესახებ ქაქუცასთვის ერთი ანეკდოტი უამბნიათ და მის მოგონებაზე ბევრს იცინებდა ხოლმე. აკაკის თურმე სამეგრელოში დიდი წვეულება გაუმართეს. როდესაც მგოსანი მივიდა მას წარუდგინეს მანდილოსნები და თვითეულის სახელს და გვარს აცნობდნენ: "წარრზი მხეიძისა; ცური ჩიჩუასი; გული დადიანისა; ძუძუ ანჩაბაძისა, ჭიპი ფალავასი...." აქ აკაკის შეუჩერებია ის ვინც მას მანდილოსნებს აცნობდა და უთქვია: " შენ გენაცვა, გეყოფა, ქვევით ნულარ ჩახვალ."

როდესაც რუსებმა აღერბეიჯანი დაიპყრეს და საქართველოსაც თავს დაესხნენ, ყველას არწმუნებდენ, რომ თვით აღერბეიჯანი ებრძვის საქართველოს. ამ ბრძოლებში გვარდიის ლევიზიონმა თავი ისახელა, განსაკუთრებით კი ქაქუცას ესკადრონმა. მან ბევრი ტყვე წაართვა მტერს და ცხადჰყო, რომ რუსის ჯარი იღებდა მონაწილეობას ამ თავდასხმაში. ამავე დროს, ჩვენი ესკადრონი, გაუგებარ მიზეზებისა გამო და სრულიად უაზროთ, თბილისიდგან ალბულაღში გადიყვანეს. მიზეზები ამ უაზრო გადაყვანისა, როგორც სხვა ბევრი რამ, დღემდის ღენ. ზაქარიაძეს საიდუმლოებას შეადგენს.

ალბულაღში ჩამოვიდა დამფუძნებელ კრების წევრი, ვინმე თბილისელი მალაკანი. შეგვკრიბეს ლეგიონერები მისი მოხსენების მოსასმენად. მან სხვათა შორის შემდეგი გვითხრა სწორედ ამ კილოთი და ამისთანა ქართულით: "იცით თქვენა? გუშინწინ გარეშე საქმის მინისტრმა ტელეფონით ზვანოკი დარეკა ზაქოში ჩვენი ელჩსა და სულ მეგრულათ ებნებოდა, რომა სხვამ არ გაგოსო. აი როგორი იშკილებით გვიხდება მუშაობა..." და ეს ვაჟბატონი ჩვენ გვასწავლიდა თუ როგორ უნდა ვემსახუროთ ჩვენს ერს. ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა. ვერ მოვითმინე, ავიღე სიტყვა და მოვახსენე ყველა ის რაც ეკადრებოდა. დამიბარეს თბილისს. იქ ღენ. ოდიშელიძემ მაგრძნობინა, რომ ჩემი საქციელი დისციპლინის დარღვევა იყო. მე იმხანაში თხოვნა შევიტანე და სამსახურიდან გადავდექი.

რამდენიმე კვირის შემდეგ რუსებმა ჩვენ წინააღმდეგ ომი დაიწყეს. ქუთაისში ეროვნულ-დემოკრ. პარტიამ რაზმი შეადგინა. მის უმფროსად მე დამნიშნეს და მეც რაზმით ფრონტისაკენ გავეშურე. ყოველი მცირე რაზმიც კი დიდი დახმარება იყო მთავარ სარდლისათვის და ის მას დაუყონებლივ ბრძოლაში ჰგზავნიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა იყო მიზეზი იმისა რომ მთელი ძალების მობილიზაცია არ მოხდა? ქართველი ერი პასუხს ელის. ლენ. ზაქარიაძე სდუმს.

ბრძანები მივიღეთ: ლენ. ჭავჭავაძე ცხენოსან ჯარს აწყობს. კავალერიის ოფიცრები მასთან უნდა გამოცხადდენ. მეც გავეშურე. დამნიშნეს ქაქუცას ესკადრონში. იქ ჯარის კაცენი-სულ რჩეული ბიჭები დამხვდნენ. საბოლოო მოსაწყობად ხაშურში გადაგვიყვანეს. ქაუცამ სამწყობრო ნაწილი ჩამაბარა. დილით ადრე, ესკადრონი სამეცადინოთ გავიყვანე. არ გასულა ხუთი წუთი ერთმა ჯარის კაცმა მოირბინა და მითხრა: "უფროსი გიბრძანებთ." საჩქაროდ მივედი. ვხედავ, სდგას ქაქუცა მთლად გაფითრებული, ტუჩები უცახცახებს და კბილებ შეკრული მეუბნება: "წუხელ ჩვენებმა თბილისი დასცალეს." რაღაცამ თავში დამკრა და თბილი ოფლი დამასხა.

ომიც თალე დასრულდა ჩვენი დამარცხებით. საშინელია დეტალების მოგონება. რა გულის ტკივილს იწვევს მოგონება თუნდ იმ სამარცხვინო სურათებისა, თუ როგორი პანიკა შექმნეს გვარდიელებმა და რა დისციპლინას სრულიად მოკლებულ ბრბოებად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან.

ერთმა ოფიცერმა დიდად სასირცხვო სურათი გადმოგვცა. ნოე ჟორდანიას ვაგონიდან დაუნახავს თუ რა რიგ არეულები გარბოდნენ გვარდიელები. პრეზიდენტს მატარებელი გაუჩერებინებია, თვითონვე გასულა გვარდიელებთან, შევედრებია მათ და მიუმართავს თხოვნით პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. ამაზედ ისეთი უდიერი პასუხი მიუღია რომ, თავჩაღუნული, უკანვე მატარებელში შებრუნებულა.

ეჰ! ვინ ჩამოსთვლის ჩვენი სირცხვილის მაგალითებს?

ჩვენი ნაწილი ქუთაისს გაჰგზავნეს. ჭავჭავაძემ თავის ადიუტანტად დამნიშნა და ქაუცას დავშორდი.

დავმარცხდით. დამარცხების შემდეგ თბილსს დავბრუნდი. ქაქუცა კახეთში იყო და იქ ამზადებდა მომავალ ბრძოლებს. ქაქუცას უკანასკნელად თბილისის ერთ საიდუმლო კრებაზედ შევხვდი. მეორე დღეს რუსთაველის გამზირზე დავინახე. შორი ახლოს მისი ძმა, შემდეგ ბრძოლაში მოკლული, სიკო მისდევდა. ხელი ჯიბეში ედო.

ვაი მას, ვინც ქაქუცას ხელის შეხებას გაუბედავდა! ერთმანეთს მხოლოდ თვალებით მივესალმენით. შემდეგ ბედმა აღარ მარგუნა ქაქუცა მენახა. ქაქუცამ ბრძოლის დროშა ააფრიალა. ქაქუცა უკვე ერს ეკუთვნოდა და მას მიუძღოდა.

როდესაც თბილისის შტაბში დადგა საკითხი თუ ვინ უნდა იყვეს მთავარსარდალი, ისეთმა გამოცდილმა ლენერალმა, როგორიც ალ. ანდრონიკაშვილი იყო და რომლის მთავარსარდლობა მომავალ აჯანყებებში პარტიებს სურდათ, განაცხადა: "ერს უკვე ჰყავს სარდალი. ის არის ქაქუცა. ასეთს დროს პიროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მე მისი შტაბის უფროსი ვიქნები". მე არ მესმის, რად შეცვალა "დამკომმა" ეს და რად დანიშნა სარდლათ ხალხისათვის სრულიად უცნობი პირი. ამ საკითხს შემდეგში უფრო ვრცლად შევეხები.

ქუთაისს გამგზავნეს. თბილისის შტაბის დადგენილებანი იქაურ შტაბისათვის უნდა მემცნო. როდესაც ქაქუცას შევეხე, ნესტორ გარდაფხაძემ შემდეგი სთქვა: "ერის ცხოვრებაში რაღაც კანონი არსებობს. შეიძლება, როგორც სხვანი, მე მისტიკოსი ვიყო, მაგრამ უსათუოდ არსებობს რაღაც ძალა, რომელიც ერს გზას უნათებს და უნდა გითხრათ: არ არის შემთხვევითი მოვლენა ის, რომ ჩოლოყაშვილი ჩვენს ერს მეთაურობს." პირჯვარი გადაისახა და დაუმატა: "ღმერთო, შენ მოხედე ჩვენს ქვეყანას." ეს მდევივით ვაჟკაცი და ამაყი ხვანი ვერ მოესწრო თავის ნატვრის შესრულებას. ძვირფას გმირთა დაკარგულ საფლავებს მისიც მიემატა: აჯანყების დროს დახვრიტეს.

მწარეა, მწარე ეს მოგონებანი!

ცხენოსან ლეგიონის ოფიცერთა შორის, რომელნიც სამშობლოს შეეწირნენ ბევრი არიან იმათ გარდა, ზევით რომ მოვიხსენიე: ლეონიძე, ვაჩნაძე, ციციშვილი, ამილახვარი, ამირეჯიბი, ანდრონიკაშვილი......ერის მაღალი სიყვარული და შემშრობელი ცრემლი ქართველ დედისა არის ამ სამშობლოსათვის წამებულთა უკვდავი ძეგლი.

ქართველ გმირთა სისხლით მორწყულ და მათი ძვირფასი სხეულით დანოყიერებულ მშობელ მიწაზედ აყვავდება ისევ განთავისუფლებული საქართველო. ბედნიერია ის, ვინც ამ უნეტარეს დღეს მოესწრება. მინდა მთელი სიძლიერით ჩემი ტანჯვისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა შევძახო ქართველ ახალგაზრდობას: "ჭაბუკნო ივერიისავ, გაჰყევით მედგრად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირთა მიერ გაკაფულ გზას და მარად
გახსოვდეთ ერის მესაიდუმლის ანდერ-
ძი:

"ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო."

სამსახურისათვის მშობელ ერს ნურას
მოსთხოვთ. ერთის უფლება კი გაქვთ:

"დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ-
შენს მიწას მიმაბარეო."

და თუ ეს ნატვრა აგისრულდათ, ეს ი-
ქნება უდიდესი ბედნიერება.
დაუბრუნეთ სამშობლოს მიწას მისი
უსაყვარლესი შვილი- ქაქუცა.

ნიკ. ნაკაშიძე.

---

## რამდენიმე სიტყვა ქართულ საეკლესიო ხელოვნების გამოფენის შესახებ

ბერლინში მოაწყეს საქართველოს საე-
კლესიო ხელოვნების გამოფენა. პროფ.
ჩუბინაშვილმა ამ ხელოვნების შესა-
ხებ წაიკითხა მოხსენება გერმანულ
ენაზედ. ამ მოხსენებას მეც დაჩეს-
წარ, როგორც სხვა ბევრი ქართველი.
უკეთესი იქნებოდა არ დავსწრებოდით.
სხვისა არ ვიცი და მე კი ბევრი ვი-
ნანე.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა იმ
საზოგადოების თავმჯდომარემ, რომელ-
მაც ხელი შეუწყო ამ გამოფენის მოწ-
ყობას. მან ქება დიდება შეასხა ბო-
ლშევიკებს და მადლობა უძღვნა ჩიჩე-
რინს იმ თაოსნობისათვის, რომლის
წყალობით გერმანიას მიეცა საშუალ-
ბა გაეცნოს ასე საინტერესო ხელოვ-
ნებას. საზგასმით აღნიშნა სოვიეტთა
მთავრობის დიდად ნაყოფიერი საქმია-
ნობა კულტურის ასპარეზზედ. "სამწუ-
ხაროა,-სთქვა მან-,რომ ჩიჩერინი
ვერ დაესწრო ამ მოხსენებას. სამა-
გიეროდ ყოფილი განათლების კომისარი
ლუნაჩარსკი აქ ბრძანდება თავისი მე-
უღლით და მივმართავთ მათ უღრმესი
სალამით"ო. მსმენელებმა დიდი ტაშის
ცემით დააჯილდოვეს ამ სიტყვების მთ-
ქმელი.

ამის შემდეგ პროფ. ჩუბინაშვილმა
წაიკითხა ფრიად საინტერესო და ნიჭი-
ერად ჩამოყალიბებული მოხსენება. გვ-
აჩვენა მშვენიერი ფოტოგრაფიები ულა-
მაზეს ძეგლებისა.

მაგრამ, რას წარმოადგენდა სიხა-
რული შედარებით იმ ბოლმასთან, რომ-
ელიც ყოველ პატრიოტ ქართველის გულ-
შია მოზღვავებული?

დასაწყისში გვიხაროდა: ევროპიელთ
ვაჩვენებთ თუ რა ხალხი ვართ და რის
შექმნა შევძელით.

ვაი ამ გაცნობას. ჯერ კრების და-
საწყისშივე შემეპარა ეჭვი. ბატონი
თავმჯდომარე უფრო სოვიეტების კულტუ-
რულ შრომას ასხავდა ქებას, ვიდრე
საქართველოს აცნობდა საზოგადოებას.
მაშ როგორ? ჩვენი ერის მიერ საუკუ-
ნეთა განმავლობაში შექმნილი განძი
ჩვენი ერის მტარვალთა აქტივში იწე-
რება?

მახლას! ეს ასე მოხდა.

მერე იყო და ჩუბინაშვილის მოხსე-
ნების შემდეგ ერთმა ნაცნობმა გაკვ-
ირვებით მითხრა: რა საოცარი ამბები
გვიამბოო.

ბევრი ევროპიელი გაოცებით და ე-
ჭვის თვალით გიმზერთ, როდესაც ეუბ-
ნებით, რომ თბილისში ტრამვაი არსე-
ბობს და ბევრ ბინას ლიფტიც აქვს
მოწყობილი. ამ ჩემს ნაცნობს ასეთივე
გაოცება ეტყობოდა. მაშ ესეც კარგია
თუ ზოგიერთი მიხვდება, რომ ჩვენ ხე-
ებზედ არ ვცხოვრობთ.

კრების დამთავრებისას ჩემი ეჭვი
უფრო გაღრმავდა. ჯერ არის და ამის-
თანა კრებებს ერთი ან ორი ათასი გე-
რმანელი თუ დაესწრება და ისიც მხოლ-
ოდ ბოლშევიკების მეგობარი. და აი
რას იტყვიან: "ჩვენ ვნახეთ მეტად
საინტერესო გამოფენა სოვიეტთა რუსე-
თის ერთ-ერთ კავკასიურ ხალხის ხელო-
ვნებისა. აბა უცქირეთ, რა კულტურო
შრომას აწარმოებენ ბოლშევიკები! ეხ-
ლა მაინც ხომ ჰხედავთ თუ რა ჭორებს
ავრცელებენ კავკასიის და მთელი რუს-
ეთის ემიგრანტები სოვიეტების წინააღ-
მდეგ? ეკლესიას სდევნიანო! აი რა სი.
ყვარულით, რა თავგამოდებით უვლიან
საეკლესიო ხელოვნებას და აქაც კი
მოაქვთ მთელი კოლექციები. ბოლშევი-
კები ეკლესიას რო სდევნიდნენ, რაღა
სწორედ საეკლესიო ხელოვნების გამო-
ფენისათვის დახარჯავდნენ ამდენ ენ-
ერგიას და ფულს?"

მოკლედ რომ ვსთქვათ, გამოვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ბოლშევიკური პროპაგანდა.

აქვე უნდა ავღნიშნო, თუ როგორ დააფასა ზოგიერთმა გაზეთმა საქართველოს ხელოვნება. ერთი, მაგალითად, სწერდა: -ფრიად საინტერესოა შედარება ორ რუსულ გამოფენისა. ერთი- ახალი მხატვრობისა, მეორე- ძველ საეკლესიო ხელოვნებისა. და ამას რამდენიმე შაბლონური შედარებები მოსდევდა.

მეორე გაზეთი დაახლოვებით იგივეს ამბობდა: ერთი მხრივ რუსული ძველი ეკლესიის ხელოვნება და მეორე მხრივ- ახალის ძებნაში გატაცებული ბოლშევიკთა არტისტული ხელი.....

აი შედეგები ამ ჯურის პროპაგანდისა საქართველოს სასარგებლოთ.

ბევრი ქართველი კი მოტყუებული დარჩა: ეს გამოფენა ჩვენი პროპაგანდისათვის სასარგებლო იყოო. ამ აზრს ვერავითარი საბუთებით ვერ შეუცვლით.

სამწუხაროა ჩვენი სინამდვილე: ქართველი ემიგრაცია თითქმის არავითარ პროპაგანდას არ აწარმოებს. დავირაზმენით ჯქუფებად და ერთი ჯქუფი მთელ თავის ძალას დანარჩენ ჯქუფების წინააღმდეგ ბრძოლას ანდომებს. ის მძლავრი იარაღი, რასაც პროპაგანდა ეწოდება, ხელიდგან გავაგდეთ. მოვალენი ვართ ერის წინაშე ამ დარგში მაინც მეტი აქტივობა გამოვიჩინოთ. ეს არც ისე ძნელი საქმეა.

ჯერ კი ამისათვის სრულიად მოუწყობელი ვართ. მაგალითად, ამ გამოფენის დროს არ გამოჩნდა ისეთი ქართველი, რომ დაეძახა: ბოლშევიკთა სისხლიან ხელს უფლება არა აქვს საქართველოს სიმდიდრენი მურტალ მიზნისათვის გამოიყენოს. მათ გასრისეს საქართველოს თავისუფლება, აწამებენ სპობენ ქართველ ერს, წაბილწეს და გაანადგურეს საქართველოს ეკლესია და ეს ისტორიის უდიდესი ჯალათნი, გალაღებულნი ნადავლით, ჩვენივე ნაშრომით სარგებლობენ ჩვენ წინააღმდეგ და მათ სასარგებლო პროპაგანდის მოსაწყობად.

თვით გამოფენა კი დიდათ საინტერესო იყო.

როგორ არ აღივსებოდა ქართველის გული ტკივილით, როდესაც უმზერდა ჩვენი საამაყო წარსულის ამ მშვენიერ ძეგლებს?

უმზერ და ჰფიქრობ: აი რა წარსული დაგვიკარგავს, რა დიდ წინაპართა ხელს მოვწყვეტივართ, რა გიგანტთა ტრადიციები დაგვისამარებია.

ვერც ერთი დარგი ადამიანთა შემოქმედებისა ვერ გამოჰხატავს ისე აშკარად ერის მთლიანობას და ერთსახოვნებას, როგორც ხელოვნება. და ძველ ქართველთა ხელოვნება ხომ იშვიათი ნიმუშია ამ ერთსახოვნებისა, ერთსულოვნებისა, ერთი იდეალისკენ მისწრაფებისა.

ქართველთა ძლიერ ხუროთ-მოძღვრებაში, გრაციით და ძლიერებით აღსავსე მხატვრობაში, არა ჩვეულებრივ სილამაზის მანუსკრიპტებში,- ყველგან- ერთი განუწყვეტელი ძაფი ქართველთა მისწრაფებისა სილამაზისაკენ, ამაღლებისა უდიდეს იდეალებამდინ //ამისი მშვენიერი მაგალითია ყინცვისის ფრთა გაშლილი ანგელოზი ლურჯ ფონზედ// განგრძელება და განვითარება ეროვნულ ტრადიციებისა...... ვინ იცის რამდენი საუნჯე, ქართველთა მიერ შექმნილი, გაჰფანტეს, მტვრად აქციეს და გასძარცვეს არა ერთმა ბარბაროსმა მტერმა?

ხელოვნების დაფასების "სპეციალისტი" არა ვარ. განვიცდი მას როგორც ყოველი მომაკვდავი. ჩვენმა წარსულმა გამიტაცა. განსაკუთრებით ჩვენი მეექვსე-მეთერტმეტე საუკუნეების ეკლესიების სილამაზემ, მათი ხაზების სიწმინდემ, შეხამებამ სიდიადისა და "ელეგანსის-მ", რომელსაც ჩვენში უდიდეს სიმაღლემდე მიუღწევია.

ციციშვილთა ყინცვისის ანგელოზი, რომელიც უკვე მოვიხსენიე, მართლა გასაოცარია. არსად, არც ერთ დიდ მუზეუმში, არც ერთ მხატვრობის ნაწარმოებზე ჩემზე ასეთი დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. შეიძლება ეს გრძნობა ცოტა გადაჭარბებული იყოს. ეს ხომ ჩემი ერის, ჩემი წინაპრების მიერ არის შექმნილი? გადაჭარბებული სიყვარული წინაპრებისა და სამშობლოსი არც ისე დასაძრახისია.

ანგელოზი წყნარად ზის. ხოლო ფრთები მთელი მათი სიდიადით გაუშლია. მისთვის სივრცე არა რა არს. შემოქმედია, ბატონი სივრცის და დროისა, მისწრაფი უუმაღლეს იდეალისაკენ. მას სწამს რომ ამ იდეალს მიაღწევს და ამაშია უსაზღვრო ძალა მისი აღმაფრენისა, მისი შემოქმედებისა. ხოლო , ეს აღმაფრენა იდეალისაკენ არ არის ანარქიული აღტაცებულ ფანატიკოსისა. მისი

სამოსიც რბილი და მსუბუქი ტალღებით თითქოს სივრცეს ჰბატონობს. მაგრამ ფრთათა გაშლა, სამოსის უზომო ტალღები ჩამოყალიბებული არიან მხატვრის მიერ მტკიცედ განსაზღვრულ გეგმაში. მთელი გამომეტყველება ანგელოზის სახის, პოზის, ფრთების გაშლის არის სიმშვიდით, მიზნის ცოდნით და ფიქრით აღსავსე. ეს ანგელოზი სამაგალითოდ გამოხატავს მთელს სულს ჩვენი ხელოვნებისას. მის სიდიადის და სიმშვენიერის ჰარმონიაში ჩართულია ის მელანქოლია, რომელსაც შეხვდებით ყოველ ჩვენს ნაწარმოებში, რომელიც ქართველთა თვით სიმხიარულიდგანაც კი გამოსჭვივის.

აგერ საუცხოვო, შეუდარებელი ხელით ნაწერი სახარებები. ერთი მეორეზე უკეთესი. ერთი მათგანი ისე მცირე ტანისაა, რომ შეუარაღებელი თვალით წაკითხვაც კი გაგიძნელდებათ. ხოლო რა სილამაზე ასოებისა, რა ხაზთა სისწორე, რა შეზავება მინატურების ფერადებისა და ხაზთა გრაციისა!

აღწერით ვერას მიაღწევ. საჭიროა თვალით ნახო და გულით იგრძნო...

გამოფენიდგან ყოველთვის გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი. რამდენი, საუნჯე, საუნჯე საამაყო დაგვიკარგავს და ისე დაგვიკარგავს, რომ ვინ იცის თუ ოდესმე კიდევ შევძლებთ დაკარგულის აღდგენას? დაკარგულია იმიტომ, რომ მოვწყდით წარსულის სულს და თუ მოვისურვეთ ნამდვილ ქართული კულტურის განგრძობა, დაგვჭირდება ჩვენი წარსულის ახლად შესწავლა. შესწავლა ისე, როგორც სწავლობენ უკვე მკვდარ საგანს და ვინ იცის თუ შევძლებთ მის გაცოცხლებას?

რაა დღეს ჩვენი ხელოვნება? ყოველი, ხშირად სულით დაზიანებული "ინტელექტუალი", მოკლებული ყოველ ეროვნულ ტრადიციას, მოიგონებს-მისი წარმოდგენით, ახალ "მანერას, დასწერს, დახატავს რაღაც ობრუდობას და თავს დაირწმუნებს რომ მთელ კაცობრიობას ამისი მსგავსი არა შეუქმნია რა. და ამ უთავბოლო ფანტასმაგორიას "წმინდა ხელოვნებას" უწოდებს.

არ უნდა დავივიწყოთ რომ ამ "ინტელექტუალთა" შორის ბევრი საკმარისად ნიჭიერია.

არა, ერთად ერთი გზა ნამდვილი შემოქმედებისა წინაპართა ტრადიციების აღდგენაა.

ორი თვის მოგზაურობის შემდეგ ბერლინში დავბრუნდი. მინდოდა ჩვენი ხელოვნების გამოფენა კიდევ მენახა. წავედი. იმავე დარბაზში ეხლა გამოფენილი იყო ციმბირის ერების ნაწარმოები: რამდენიმე ბჭყვრიალა ქამარი, რამდენიმე უშნო ტანსაცმელი და სავარცხლები რუსული წარწერით.

ევროპიელმა გუშინ დაათვალიერა სოვიეტ-რუსეთის ერთ-ერთ ერის-"გრუზინების"- ხელოვნება, დღეს იმავე სოვიეტ-რუსეთის მეორე ერისა და ჰფიქრობს: რა მრავალფეროვანია სოვიეტ-რუსეთის კულტურა!

მათე კერესელიძე.

---

## იდეურ ბრძოლის საშუალებანი

როდესაც "თეთრი გიორგი" პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა, ჩვენ, იმ აღფრთოვანებასთან ერთად, რომლითაც მას პატრიოტი ქართველნი და განსაკუთრებით ახალგაზრდობა შეხვდა, მოველოდით მის მოწინააღმდეგეთა მიერ ბრძოლას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას იდეურ ნიადაგზე. სამწუხაროდ აღმოჩნდა რომ იდეური ბრძოლა ფრიად მოსაწყენი ყოფილა მათთვის, ვისაც ტერორი, ცილის წამება, ჭორი, ფარული წერილები მიაჩნიათ ერთად ერთ საშუალებათ პოლიტიკური ბრძოლისა. იდეურ ბრძოლისათვის იდეა არის საჭირო და ეს ბევრისათვის კი ძნელი საქმე ყოფილა.

"თეთრი გიორგი" დღიდან დაარსებისა იბრძვის იდეურად- საკუთარ იდეების საშუალებით სხვა მიმართულებათა იდეების წინააღმდეგ. ყოველ კულტურულ საზოგადოებისათვის ეს დიდათ სასარგებლო არის. "თეთრი გიორგი ელოდა, რომ მისი მოწინააღმდეგენიც ასეთსავე კულტურულ საშუალებას მიჰმართავდენ.

ხოლო რას ვხედავთ? მოვიგონოთ, გაკვრით მაინც, ის საშუალებანი, რომლებსაც მოწინააღმდეგეებმა მიჰმართეს.

ვერ მაჩვენებთ ვერც ერთ წერილს, "თეთრი გიორგის" წინააღმდეგ მიმართულს, სადაც მის იდეოლოგიას გულწრფელად განიხილავდენ ან კრიტიკას, თუნდაც ერთმხრივს, უწევდნენ. ან რა ეთქმით "საქართველო უწინარეს ყოვლისა"ს წინა-

ალმდეგ? მათ ვერ შეხძლეს ამ ნიადაგზედ ბრძოლის მიღება. ბრძოლა კი უნდა ეწარმოვებინათ, რადგან "თეთრი გიორგი" ნიადაგს აცლიდა და აი მიმართეს "უკვე გამოცდილ საშუალებებს".

აი რამდენიმე ნიმუში: 1- ფარული წერილები. ამის შესახებ უკვე ცნობილი ითქვა. მეტის თქმა იყო საჭირო, მაგრამ "ლმობიერება გმირთა წესია". ხაზს გაუსვამთ მხოლოდ "არ გააჭაჭანოთ"ს. ეს ის საშუალებაა, რომელმაც არა ერთხელ მოიტანა საშინელი ნაყოფი.

2- კოლექტური წერილი პროტესტის ნიშნად და შემდეგ პროტესტი საჯარო კრებაზედ. საპროტესტო წერილის შინაარსი და მისი ზნეობრივი ღირებულება უკვე აღწერა პარიზის "თეთრმა გიორგიმ". ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შევეხებით პატივცემულ გრიშა ურატაძეს, რომელმაც "თეთრი გიორგი" ანათემას საჯაროდ მისცა. ბედნიერი ვართ, რომ დიდმა პოლიტიკოსმა, თუმცა მრისხანე თვალით, მაგრამ მაინც გადმოგვხედა. ეს "დიდი დიპლომატი" მხოლოდ იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ მას ეკუთვნის ისტორიული სიტყვები: "მე თეთრგიორგელ საქართველოს რუსეთი მირჩევნია".

არის ეს უმაღლესი წერტილი გონების აღრევისა თუ სწორედ ნაწარმოები ორმაგი ბუხჰალტერია?- ამას მომა -ლი გვაჩვენებს.

განა რომელიმე პატრიოტს აზრად მოუვა სთქვას: "მე სოციალ-დემოკრატიულ საქართველოს რუსეთი მირჩევნიათ"? რომელი თეთრი გიორგელი დაეცემა ასეთ სულიერ და გონებრივ გაკოტრებამდის?

ეს გახლავთ ბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. ასეთი არიან საშუალებანი ჩვენი მოწინააღმდეგეებისა. ასეთი ეროვნულ იდეალების მატარებელნი გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ.

"დიდ დიპლომატს თუ კულტურის რამე წასცხებია, ეს რამე არის რუსთა კულტურისა და ამიტომ არ არის გასაკვირველი არც მის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვები და არც ის "ხელშეკრულება", რომელიც მან რუსეთთან დასდო და რომლისაც ჩვენ თურმე "ვერ გავიგეთ".

ასეთი პროტესტები ჩვენ ვერას დაგვაკლებენ. ჩვენ პროტესტი არ გვაწუხებს, ხოლო გული გვტკივა, რადგან ვინც არ უნდა იყვეს წყალწაღებული ქართველი, ჩვენთვის მაინც სავალალოა.

ბოლოს კიდევ ერთი მეთოდის შესახებ, რომლის ახალი იდეოლოგია ბ-მა გაბაშვილმა დაამუშავა. ეს გახლავთ უმსგავსო ტყუილებით და ჭორებით ბრძოლა რომელიმე მიმართულების ან პიროვნების წინააღმდეგ და მეეტლის სიტყვა-პასუხის გადატანა ქართულ პრესაში. ეს პოლიტიკურ ბრძოლის ისეთი მდარე ხასიათის იარაღია, რომ მის შესახებ სიტყვის გაგრძელება არა ღირს.

ბევრი ქართველი იძულებულია შემთხვევითი პროფესიით ასაზრდოვოს ოჯახი და ირჩინოს თავი. ბარაქალა მათ ვინც ეს შეძლო. ხოლო, ამ შემთხვევითმა პროფესიამ არ უნდა დაადოს სპეციფიური დაღი ქართველის სულს, დარბაისლობას, ზრდილობას და სიტყვა-პასუხს. სამწუხაროდ ბ-მა გაბაშვილმა ეს ვერ შეძლო.

მივმართავთ ქართველებს და ვეუბნებით: "თეთრი გიორგი" იბრძვის იდეებით იდეების წინააღმდეგ. იბრძვის საჯაროდ, კულტურულ საშუალებებით. ჭორს, ცილის წამებას, ფარულ წერილებს, ინტრიგას ჰგმობს. ბრძოლა იდეურ ნიადაგზედ, კრიტიკა გულწრფელი და გაბედული, პირდაპირი, ვაჟკაცური მას მიაჩნია დიდ სასარგებლო საქმეთ და ამასვე მოსთხოვს მოწინააღმდეგეს.

ს-ნი.

---

## ტანვარჯიშობა.

ერის ან სახელმწიფოს სულიერი თუ ფიზიკური სიძლიერე და სისუსტე პირდაპირი შედეგია მისი თვითეული წევრის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობისა. ჩვეულებრივად- ერის ან სახელმწიფოს აყვავებას თუ დაავადმყოფობას მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებს აწერენ. უეჭველია ეს ორი ფაქტორი დიდ როლს თამაშობს- ხოლო, კარგად რო ჩაუკვირდეთ ვნახავთ რომ ეს ფაქტორებიც შედეგნი არიან თვითეულ წევრის სულიერ და ფიზიკურ განვითარების დონისა. [illegible]სალს და მძლავრს მეტის მიცემა შეუძლიან ვიდრე სუსტს და დაავადებულს. რამდენათ მეტია ამა თუ იმ ერში რიცხვი ჯანსაღ ელემენტებისა იმდენად შედარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზით ძლიერია იგი. შედარებით, ვამზოზ რათგან შეიძლება სთქვან: რას გვიშველი ჯანმრთელობა თუ მცერი ერთზე ახი მოვა? მრავალრიცხოვან ერს რომ მცირერიცხოვან ერის დამარცხება ყოველთვის შეეძლოს, მაშინ მცირერიცხოვან ერებმა გულზე ხელი უნდა დაიკრიფონ და უფსკრულში გადაიჩეხონ. ისტორიაში ხშირია იმის მაგალითი, რომ პატარა ერს, თავისი უდრეკი სულით, გაცილებით მასზე მრავალრიცხოვანი ერი დაუმარცხებია. ჩვენი ერის ისტორია ამის სამაგალითო ილუსტრაციაა.

ცხადია: დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ერის ყოველი წევრის სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობას. ჩვენ აქ მხოლოდ უკანასკნელს შევეხებით.

როგორ უნდა განვახორციელოთ? პასუხი ერთია: ცანვარჯიშობა ყოველი სახისა.

ეს აზრი არც ახალია და არც უცხო. მისი დიდი მნიშვნელობა ძველ ერებსაც ძალიან კარგად ესმოდათ და გულმოდგინეთ ეწაფებოდენ მას. ცანვარჯიშობაში ერის მთელი მასა იღებდა მონაწილეობას. ძველი ბერძნები სხვა ერების ზარზაროსობას მარცო სულიერ კულცურით არ სჯიდნენ, არამედ ცანვარჯიშობის განვითარებითაც.

დეცალების აღწერა ზევრ ადგილს მოითხოვს. საკმარისია ავღნიშნოთ, რომ ცანვარჯიშობას ძალიან მრავალფეროვანი სახე ჰქონდა, რიმელნიც სხეულის ამა თუ იმ ნაკვთის განვითარებას ხელს უწყობდენ. ძველი ქვეყნებიდგან ცანვარჯიშობის კულცი ევროპაში გადმოდის და მალე ფეხს იკიდებს ზევრ სახელმწიფოებში: შვეცია, გერმანია, საფრანგეთი, ჩეხეთი და სხ.

აღსანიშნავია და ფრიად საყურადღებო ის ფაქცი, რომ ეს ცანსავარჯიშო საზოგადოებები, გარდა პირდაპირი დანიშნულებისასხვა მიზანსაც ემსახურებიან- განსაკუთრებით მეცხრამეცე საუკუნის ზოლოს და დღესაც. ის ერის ცხოვრებაში ერთგვარ პოლიციკურ როლს თამაშობს იმდენად, რამდენადაც თვითეულ წევრში ეროვნული სულის გაღვიძებას და განმცკიცებას ხელს უწყობს. ცანვარჯიშობის საზოგადოებებმა განსაკუთრებით დამონავებულ ერებს გაუწიეს დიდი სამსახური. მაგ. ჩეხეთი, სადაც მათ დიდათ თვალსაჩინო როლი ითამაშეს მის განთავისუფლების საქმეში. ამ საზოგადოებებში თავს იყრის ერის ყველა წევრი, განურჩევლად სოციალურ მდგომარეობისა, და წმინდა მეგობრულ დამოკიდებულობის ნიადაგზე უშუალოდ იქმნება და მცკიცდება ეროვნულ მთლიანობის შეგნების სული.

აი ერთი მაგალითი: როდესაც ეგრე წოდებული "ვარჯიშთ-მამა" იანი აარსებს ბერლინში პირველ მოვარჯიშეთა გუნდს. და მისი მიზანია არა მხოლოდ ჯანმრთელი ახალგაზრდობა აღუზარდოს გერმანიას, არამედ მასთან ერთად განამცკიცოს მათში ძლიერი ეროვნული სული. იგივე იანი აპყრობს დიდ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ჯარი //1870 წლ. ო[illegible] მანოვრების სისწრაფი გაცილებ[illegible]ობს გერმანიის ჯარს. აწერს რა იანი საფრანგეთის ჯარის ამ უპირაცესობას იქ გავრცელებულ ცანვარჯიშობას, ჰქადაგებს რომ გერმანიაც ამ მაგალითს მიჰყვეს.

ჩვენშიც რომ ცანვარჯიშობა დიდად გავრცელებული იყო, გვიმცკიცებს დღეს კიდევ შერჩენილი ხელბურთი, ჯირითი, ფარიკაობა და სხ. სამწუხაროდ მათ დღეს მხოლოდ კუთხური ხასიათი და შერჩათ. დამოკიდებლობის დროს ჩვენში ცანსავარჯიშო საზოგადოებები არსდებიან და გასაოცარი სისწრაფით ეფინებიან საქართველოს ყოველ კუთხეს. შევარდენმა მძლავრად გაშალა ფრთები მის გარშემო ათასობით შეკრებილ ახალგაზრდობაზედ და თავის არსებობის მოკლე ხანის დროს გასაოცარი ნაყოფი გამოიღო. რასაკვრელია ამ საზოგადოების არსებობა არაფრად ეჭაშნიკა კომუნისცთა მთავრობას და საქართველოს დაპყრობის შემდეგ მალე აღკრძალა. დაარსეს "სპარცაკი", რომლის მიზანია ქართველთა სულის გათელვა და ახალგაზრდობის კომუნისცთა მონად აღზრდა. თავისუფალ საქართველოში გადაგვარებულ კომსომოლთა გარყვნილ საზოგადოებებს ადგილი აღარ ექნება.

"თეთრი გიორგი" საკმარის ყურადღებას მიაქცევს ცანვარჯიშობას. ყოველი ქართველი ახალგაზრდა, ქალი თუ ვაჟი, აქციური წევრი უნდა იყვეს ცანვარჯიშობის საზოგადოებისა.

ჯანსაღი სული- ჯანსაღ სხეულში.

-ვინმე-.

--------------------

-----------

п386/8 F 34 1930

+

\+ +

რუსეთის პირველ შემოსევას მოჰყვა საშინელი დევნა ჩვენი ერისა. გაანადგურეს ჩვენი კულტურა, შეჰრყვნეს ჩვენი ჩვეულებანი, შეურაცხჰყეს ჩვენი სინიდისი. რუსეთის იმპერატორმა კარგად იცოდა თუ რა ძლიერი იყო ჩვენში ეროვნული ტრადიცია და სამშობლოს სიყვარული. იცოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტრადიციებს ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვი ხალხის გულში და რომ ქართველი ერი მას დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა კავკასიის გარუსების საქმეში. ამიტომ მან მიზნად დაისახა ჩვენი ერის სრული განადგურება. აკრძალეს ქართული ენა. მას საჯაროდ, და არა ერთხელ, ძაღლის ენა უწოდეს. საუკეთესო ქართველებს შორეულ ქვეყნებში ასახლებდენ; ჯიშს გვიყვნიდენ, ეკლესიას გვირუსებდენ, რომ ფესვი ჩვენი ძლიერებისა ძირშივე გამოეხრათ. ამავე დროს ზოგიერთ ქართველის გულს იგებდენ. ნახეს კიდეც ესეთნი. არა ერთმა ქართველმა უღალატა თავის ერს.

დასუსტებული, განგმირული საქართველო მაინც იბრძოდა. საუკეთესო ნაწილი ქართველი ერისა გააღატაკეს, სამშობლოდგან განდევნეს, მიჰყანც მოჰყანცეს.

მოღალატეებს ასპარეზი გაუფართოვდათ, შხამიან გველივით წამოჰყვეს თავი და ცხოვრების ზედა პირზე ამოტივტივდენ. რუსის ფულმა, ჩინ-ორდენმა და კარიერამ ბევრი ქართველი ჩაითრია ცოდვის მორევში. ეს ვაჟბატონები ქართულ ლაპარაკს აღარ კადრულობდენ და ისედაც უშნო რუსულს უარესად ამახინჯებდენ. მათი იდეალი და ერთად ერთი მიზანი რუსის "ჩინოვნიკობა" და პრიალა კოკარდა იყო. ამ უზადრუკ ქართველთა შემკვიდრეებმა დღემდის მოაღწიეს და უარესი სახე მიიღეს.

დასუსტდა ქართველი ერი: მას აღარ ძალუძდა პირდაპირი ბრძოლა თავისუფლებისათვის და მთელი ძალა გადაიტანა ქართულ კულტურისათვის ბრძოლის ასპარეზზედ. ამ ასპარეზზედაც თითქმის ისეთივე საშინელ პირობასთან ჰქონდა საქმე. ქართველობამ მაინც შესძლო ისეთი სკოლა დაეარსებინა, სადაც ქართველ ახალგაზრდას შეეძლო დედა ენის, სამშობლოს ისტორიის და ლიტერატურის შესწავლა. მოღალატენი არ კადრულობდენ, რომ მათ შვილებს ამ სკოლაში მიეღოთ განათლება. ქართული არ გვინდა და რუსულს რუსულ სკოლაში უკეთ ისწავლიანო. გარუსებულ ქართველთა შვილები დასცინოდენ ქართულ სკოლის მოწაფეებს, რადგან რუსულს კარგად ვერ ლაპარაკობდენ და ჩოხა ერჩივნათ რუსულ მუნდირს. ხოლო თუ რა ძლიერი სულის პატრონნი იყვნენ ეს ჭაბუკები და როგორი მონური სული ბუდობდა ამ "ჩინოვნიკების" სულში დაამტკიცა მტარვალ რუსთა მეორე შემოსევამ. ქართულ სკოლიდგან გამოსული ახალგაზრდობა მომზადებული დახვდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო სრულიად გარიყული დარჩა რუსთამოტრფიალე ქართველობა. ვერც გრძნობით, ვერც გონებით ვერ შეურიგდენ თავისუფალ საქართველოს და არც შედიოდა ეს მათს ანგარიშში. განაგრძობდენ რუსის იმპერიის აღდგენის ოცნებას. თვით დამოუკიდებლობის დროსაც კი თავისი შვილები რუსის სკოლას ვერ მოაშორეს. სულით და ენით დარჩნენ რუსები და უცხოეთშიც კი რუსთა ფრთას არ შორდებიან და ევროპიელთა წინაშე სახელს გვიტეხავენ.

დადგა ჟამი და ეს ვაჟბატონები სამშობლოს მტრებად გამოაცხადა ხალხმა. ერი მათ უკვე ანგარიშს სთხოვს. ხოლო ნათქვამია: კუზიანს სამარე გაასწორებსო. ერთად ერთი გამოსავალი აქვთ და ვთხოვთ მას მიჰმართონ: მოგვშორდენ ერთხელ და სამუდამოთ.

გაიღვიძა საქართველომ. ირაზმება ახალგაზრდობა. მისი ძალის გაფოლადება ასაზრდოებს სამშობლოს და ერის განუსაზღვრელი სიყვარული. ის, ვინც მთელის გრძნობით, მთელი არსებით ქართველი არ არის, განიდევნება ქართველთა წრიდგან.

თავისუფალი ერნი მხოლოდ მაშინ გვცემენ [illegible]ვს და სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის უფლებას როდესაც დარწმუნდებიან, რომ რუსეთთან ჩვენ არც გრძნობა, არც კულტურა, არც სურვილი, არც წარსული, არც აწმყო და არც მომავალი არ გვაკავშირებს.

ტანჯვით, ვაებით და სიმახინჯით არის აღსავსე აწმყო საქართველოისა. დიადი და საამაყო არის წარსული მისი,- დიადი და საამაყო უნდა იყოს მომავალიც.

ბრძოლა გარეშე და შინაურ მტერთა წინააღმდეგ წმინდა მოვალეობა არის ქართველი ახალგაზრდობისა.

თელაველი.

\-------------